კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №8
2025 წლის 16 მაისი

ქ. კასპი

„კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 18 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.ვ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტებისა და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

მუხლი 1

„კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 18 იანვრის №1 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 23/01/2019, 190040000.35.149.016390) დამტკიცებული №1 დანართი შეიცვალოს ახალი №1 დანართით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კასპის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **შოთა ბეგლარაშვილი**

დანართი №1

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობა	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს თავმჯდომარე	1	5998
2	პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	4535
3	პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	3950
4	პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	3218
5	პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2	2926
6	პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	6	2340
7	ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – საკრებულოს აპარატის უფროსი	1	2482
8	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	17	1606
9	მეოთხე რანგის მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	3	1168